

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

შეფასების შედეგები

მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტი
დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სდომაზე ოქმი 1, 15.02.2024

№	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები (კომპონენტები)	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეკომენდაციები		
	პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები	<p>ანალიზი</p> <p>დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია 1 დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც მოიცავს ისეთ აქტუალურ თემას, როგორცაა სპირალურშლიციანი ცილინდრული ნაკეთობების რადიალური ჭედვის მოწყობილობის დაპროექტება. არსებული რადიალურ-საჭედი მოწყობილობების, მათი დეფორმაციის კერის ანალიზისა და მისი ძირითადი კვანძების სიმტკიცეზე გაანგარიშების საფუძველზე შემუშავდა შედარებით მცირე გაბარიტების და მარტივი კონსტრუქციის რადიალური ჭედვის მოწყობილობის პროექტი. კონსტრუქციის სრულყოფისა და დეტალების რაოდენობის შემცირების შედეგად იზრდება მისი საიმდოობა და მცირდება დამზადებისა და ექსპლუატაციის ხარჯები.</p>		
		<p>რეკომენდაციები</p> <p>სასურველია, რომ დეპარტამენტის პერსონალის მიერ წარმოდგენილი იყოს მეტი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი.</p>		
		<table border="1" style="width: 100%;"> <tr> <td data-bbox="966 1732 1166 1801">შეფასება</td> <td data-bbox="1166 1732 1432 1801">დადებითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი
შეფასება	დადებითი			
	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-	<p>ანალიზი</p> <p>დეპარტამენტის მიერ წარმო-დგე-</p>		

	<p>კვლევითი პროექტები</p>	<p>ნილია 1 გარდამავალი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი. დაწყების წელი 03/11/2023, დამთავრების წელი 03/11/2025. პროექტი ეხება ისეთ აქტუალურ და მეცნიერებატევად საკითხს, როგორცაა მოდიფიცირებით მაღალმტკიცე, დეფორმირებადი თუჯების მიღებას. პროექტით შესწავლილი იქნება კრიოგენული და თერმული დამუშავების კომბინირებული ზეგავლენა თუჯებში მაღალფუნქციონალური მულტიფაზური ბენიტურმარტენსიტული სტრუქტურების ფორმირებაზე. კვლევის შედეგები უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას, როგორცაა მაღალფუნქციონალური შენადნობებისა და მათი მიღების ტექნოლოგიების შემუშავება. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მოხახუნე კვანძების ცვეთის ინტენსიობის მინიმიზაციისა და კოროზიული რღვევისადმი წინააღმდეგობის გაუმჯობესების ხარჯზე. პროექტი საინტერესოა იმით, რომ ფრიქციული ურთიერთქმედებისას განვითარებული სინერგიულად მოქმედი ფაქტორები ატარებენ ინტერდისციპლინარულ ხასიათს. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ დოქტორანტის თემატიკით დაინტერესებულია ლივერპულის ჯონ მურის უნივერსიტეტის პროფესორი ანდრე ბატაკო,</p>
		<p>რეკომენდაციები სასურველია, რომ დეპარტამენტის პერსონალმა უფრო აქტიურად მიიღოს მონაწილეობა</p>

		საგრანტო კონკურსებში.	
		შეფასება	დადებითი
	პატენტები, დეკონირება	<p>ანალიზი დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია ერთი პატენტი „მიღების გრძივი გლინვის დგანი“ საიდენტიფიკაციო კოდი: P 2023 7514 B; საერთაშორისო კლასიფიკაციის ინდექსი: B21B 17/02. პატენტის ერთ-ერთი მფლობელია დეპარტამენტის პროფესორი სლავა მებონია</p>	
		რეკომენდაციები	
		შეფასება	დადებითი
	ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, წიგნები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები)	<p>ანალიზი დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია შემდეგი ბეჭდური /ელექტრონული პროდუქცია: საქართველოში: სამეცნიერო სტატია - 14 უცხოეთში: სამეცნიერო სტატია - 2 სტატიების თემატიკა დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე არის მრავალფეროვანი, აქტუალური და შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე.</p>	
		რეკომენდაციები სასურველია, რომ შემდეგ წელს აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინოს ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები,	
		შეფასება	დადებითი
	სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)	<p>ანალიზი დეპარტამენტის 16 აკადემიურმა პერსონალმა (მათ შორის 10 მომხსენებლის სტატუსით) მიიღო მონაწილეობა საქართველოში ჩატარებულ - 3 სამეცნიერო ფორუმში, ხოლო 1 პროფესორმა</p>	

		და დოქტორანტმა -უცხოეთში ჩატარებულ 1 სამეცნიერო ფორუმში. ყველა სამეცნიერო ფორუმი იყო საერთაშორისო, მნიშვნელოვანი და საინტერესო.
		რეკომენდაციები სასურველია მეტი ჩართულობა, როგორც ადგილობრივ ისე უცხოეთში ჩატარებულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.
		შეფასება დადებითი
	კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი	ანალიზი დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია დეპარტამენტში შემუშავებული ტექნოლოგიით მიღებული მაღალმტკიცე და დეფორმირებადი თუჯის, კერძოდ კი ბორით მიკროლეგირებული ბენიტური თუჯების გამოყენების ეფექტურობა სამუხრუჭე სისტემების სხვადასხვა ელემენტების და წისქვილების ბურთულების დასამზადებლად,
		რეკომენდაციები სასურველია კვლევებისას გათვალისწინებული იქნას შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი
		შეფასება დადებითი
	საექსპერტო მოღვაწეობა	ანალიზი დეპარტამენტის პროფესორები ომარ მიქამე და ზურაბ ლომსაძე მიწვეულები იყვნენ შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ შემენილი ფოლადის გამოდნობისა და უწყვეტი ჩამოსხმის საწარმოო ხაზის შემადგენლობაში შემავალი მანქანა-დანადგარების კომპლექტიზაციის ექსპერტიზის ჩატარებისათვის.
		რეკომენდაციები
		შეფასება დადებითი

	<p>ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა</p>	<p>ანალიზი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებაში. მაგისტრებსა და დოქტორანტებს უწევს ხელმძღვანელობას. 2023 წელს დაცული იქნა 3 სამაგისტრო ნაშრომი, მიღებულ იქნა ერთი დოქტორანტი. მეორე კურსის დოქტორანტმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2023 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში. დოქტორანტები და მათი ხელმძღვანელები ერთობლივად ღებულობენ მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებში. აკადემიური და ტექნიკური პერსონალის შემადგენლობაში მოღვაწეობს 4 ახალგაზრდა მეცნიერი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.</p>	
		რეკომენდაციები	
		შეფასება	დადებითი
	<p>სამეცნიერო ნაშრომების და მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი</p>	<p>ანალიზი დეპარტამენტის თანამშრომლებს სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვთ გამოცემებში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar - ის და სხვა ბაზაში.</p>	
		რეკომენდაციები	

		სასურველია მეტი სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.	
		შეფასება	დადებითი

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე -----

დარგობრივი კომისიის მდივანი -----